აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

#01-04|28

3.05. 2022 წ.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ ფაკულტეტზე დეკანის არჩევნების დანიშვნის შესახებ

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდებისა და სსიპ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კოდექსისა და აგრარული ფაკულტეტის დებულების შესაბამისად ვბრძანებ:

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ ფაკულტეტზე ჩატარდეს დეკანის არჩევნები
2. არჩევნები ჩატარდეს 2022 წლის 14 ივლისს 12 საათიდან 16 საათამდე.
3. კანდიდატების რეგისტრაცია მოხდეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში 2022 წლის 10 ივნისიდან 24 ივნისის ჩათვლით 12 საათიდან 15 საათამდე; მისამართი თამარ მეფის ქუჩა #59, I კორპუსი, აუდიტორია #1138.
4. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს არჩევნების ორგანიზებულად ჩატარება.
5. არჩევებში მონაწილეობის მსურველებმა, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ბ)ცნობა უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურიდან უნივერსიტეტში დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ.
გ) განცხადება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სახელზე არჩევნებში მონაწილეობის სურვილის შესახებ.

6. ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ გვერდზე.
7. ბრძანების გამოკვრა თვალსაჩინო ადგილას დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნი კომისიას და აგრარული ფაკულტეტის დეკანს.

8. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ- გვერდზე განთავსება დაევალოს მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურს.

9. კონკურსანტების მიერ პრეტენზიების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 15 ივლისის ჩათვლით 16 საათამდე.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აწსუ რექტორი: პროფ.როლანდ კოპალიანი

აწსუ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე : მინდია ბერეკაშვილი